შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი აცხადებს საგამომცემლო სახელმწიფო კონკურსს

საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების მიზანია ღიად გამოცხადებული საგრანტო კონკურსით, ხელი შეუწყოს გამოცემისათვის გამორჩეული ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების (წიგნი/ მონოგრაფია / საგნობრივი ენციკლოპედია) შერჩევას და მათ გამოქვეყნებას.

კონკურსის ძირითადი პირობები:

1. საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის მინიმალური ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ 3 თვისა,ხოლო მაქსიმალური ხანგრძლივობა – არაუმეტეს 6 თვისა;
2. პროექტის მაქსიმალური ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 6 000 ლარს (პროექტის ბიუჯეტში არ შედის თანადაფინანსების თანხა);
3. პროექტის ბიუჯეტში საგრანტო დაფინანსება შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:
ა) რედაქტირება, დიზაინი, დაკაბადონება;
ბ) DOI, ISSN, ISBN მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
გ) გამომცემლობასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
დ) ელექტრონული წიგნის/ელექტრონული მონოგრაფიის მომზადების ხარჯებს PDF, ePUB, MOBI ფორმატით.
4. პროექტის ბიუჯეტი არ ითვალისწინებს შრომის ანაზღაურების გაცემას;
5. პროექტს შესაძლოა ჰქონდეს თანადაფინანსება – დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა. თანადაფინასებად არ განიხილება ფონდის მიერ გაცემული ნებისმიერი სხვა გრანტი.
6. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაცია და განაცხადის წარსადგენად საჭირო პროცედურები შეგიძლიათ იხილოთ კონკურსის ოფიციალურ ვებგვერდზე: https://rustaveli.org.ge/geo/mimdinare-konkursebi/fondi-atskhadebs-sagamomtsemlo-sakhelmtsifo-sametsniero-grantebis-shesakheb-sagranto-konkurss

დაინტერესების შემთხვევაში, **10 ოქტომბარმდე**, გთხოვთ დაუკავშირდეთ სტუ-ს გრანტების მომსახურების ოფისს:

<u>საქონტაქტო ინფორმაცია:</u>

მისამართი: *კოსტავას 77, სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსი, I სართ., ოთახი 118*

ელ-ფოსტა: grantsoffice@gtu.ge

ტელ.: +995577416867; +995551124040

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გამოიწერეთ **Facebook** გვერდი. სადაც აგრეთვე გამოქვეყნდება ინფორმაცია სიახლეებისა და ოფისის მიერ დაგეგმილი აქტივობების შესახებ: https://www.fb.com/GTUgrantsoffice